ზვიად ცეცხლაძე

# ნათლობის საიდუმლო

თბილისი

გლდანის ციხე, 2026

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტის,
ზვიად ცეცხლაძის ნაშრომი მომზადდა საეკლესიო
სამართლის სალექციო კურსის ფარგლებში.

რედაქტორი
ზურაბ ცეცხლაძე
*სამართლის მაგისტრი*

გამომცემლობის რედაქტორი
ნატო გორდელაძე

გარეკანის დიზაინერი
ნინო ხვინგია

*მადლობას ვუხდით თითოეულ მოქალაქეს
წიგნის დაბეჭდვაში შეტანილი წვლილისათვის.*

© ზვიად ცეცხლაძე, 2026.

# სარჩევი


| | |
|---|---|
| რეცენზია | 5 |
| შესავალი | 7 |
| ლიტერატურის მიმოხილვა | 9 |

## 1. ნათლობის წინარე ისტორია:

| | |
|---|---|
| 1.1. ნათლობის საწყისი | 11 |
| 1.2. იოანესმიერი სინანულის ნათლობა | 13 |
| 1.3. ქრისტეს ნათლობა/კაცობრიობის განწმენდა | 18 |

## 2. ნათლობის საიდუმლო

| | |
|---|---|
| 2.1. ეკლესიის წიაღში შესვლა | 22 |
| 2.2. წინაპირობა ნათლისღების კანონიკური შესრულებისთვის. | 27 |
| 2.3. ნათლობის საიდუმლოს ხილული მხარე | 31 |
| 2.4. ნათლობის უხილავი მხარე  და მისი განუმეორებლობა | 35 |
| 2.5. ნათლობის აუცილებლობა | 39 |

2.6. სხვა აღმსარებლობის წარმომადგენელთა
და სქიზმით განყოფილთა მიღების წესი 42
2.7. ნათლობის საგანგებო შემთხვევები 47
2.8. სახელდება 49
2.9. ნათლისღების შედეგები და უფლება-მოვალეობები 50
2.10. ნათლობიდან გასვლა 51

დასკვნა 52
ბიბლიოგრაფია 53

# რეცენზია

წარმოდგენილი ნაშრომი „ნათლობა“ გულმოდგინედ შესრულებული და თემატურად გააზრებული აკადემიური მცდელობაა, რომელიც ეხება ქრისტიანული ცხოვრების ერთ-ერთ ფუნდამენტურ საიდუმლოს. ავტორი საკითხს მრავალმხრივად განიხილავს: ისტორიული წინაპირობებიდან იწყებს, შემდეგ გადადის იოანეს ნათლობაზე, ქრისტეს ნათლობაზე, ხოლო შემდგომ უშუალოდ ნათლობის საიდუმლოს ეკლესიურ, კანონიკურ და პრაქტიკულ ასპექტებზე. ეს სტრუქტურული თანმიმდევრულობა ტექსტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღირსებაა.

დასაფასებელია ავტორის მცდელობა, გამოიყენოს ბიბლიური მასალა, პატრისტიკული ტრადიცია და საეკლესიო პრაქტიკასთან დაკავშირებული ცნობები. ტექსტში იგრძნობა არა მხოლოდ თეორიული ინტერესი, არამედ ეკლესიური საკითხებისადმი შინაგანი დამოკიდებულებაც, რაც ნაშრომს სერიოზულობას მატებს. განსაკუთრებით გამოსარჩევია ის, რომ ავტორი ნათლობას განიხილავს არა იზოლირებულად,

არამედ ეკლესიაში შესვლისა და ქრისტიანული ცხოვრების დასაწყისის კონტექსტში.

ნაშრომის კიდევ ერთი ძლიერი მხარეა თემის პრაქტიკული განზომილების წარმოჩენა – ნათლობის პირობები, განსაკუთრებული შემთხვევები, ეკლესიური წესები და ნათლობის შემდგომი უფლებამოსილებანი. ეს აჩვენებს, რომ ავტორი ცდილობს დოგმატური და ცხოვრებისეული მხარეების შეთავსებას.

ამასთანავე, ნაშრომს შემდგომი განვითარებისთვის მნიშვნელოვანი პოტენციალი აქვს. ტექსტი უფრო მეტად აღწერით ხასიათს ატარებს, რის გამოც მომავალ რედაქციაში სასარგებლო იქნებოდა თეოლოგიური ანალიზის გაღრმავება – განსაკუთრებით ნათლობის ეკლესიოლოგიური, ანთროპოლოგიური და ეგზისტენციალური მნიშვნელობის მიმართულებით. ასეთ შემთხვევაში ნაშრომი მხოლოდ ინფორმაციული კი არა, კონცეპტუალურად უფრო ძლიერი და აკადემიურად გამოკვეთილიც გახდებოდა.

მთლიანობაში, ეს შრომისმოყვარეობით, თემის პატივისცემითა და გულწრფელი ინტერესით შექმნილი ნაშრომია, რომელსაც აქვს მკაფიო საფუძველი და აშკარა რესურსი შემდგომი დახვეწისა და გაღრმავებისთვის. ავტორი ავლენს როგორც მასალის დამუშავების უნარს, ისე თემასთან პასუხისმგებლობიან დამოკიდებულებას, რაც სამომავლო აკადემიური ზრდის კარგი ნიშანია.

დეკანოზი გიორგი წეროძე

# შესავალი

ნათლობა იკავებს პირველ ადგილს მართლმადიდებელი ეკლესიის საიდუმლოებათა შორის. ნათლობის გზით ხდება ეკლესიაში შესვლა და მისი წევრობა, ის ქრისტიანობის ქვაკუთხედია. ის გახლავთ უძველესი ტრადიცია, რომელიც უდიდეს დოგმატურ დანიშნულებას ასრულებს, ამავდროულად სულის ცხონების უმთავრესი პირობა და პირველ-ცოდვისგან განწმენდის გზაა, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა. ის შესაძლოა განწმენდილ იქნეს მხოლოდ სულიწმიდის გარდამოსვლით, რაც ქრისტიანული ნათლობის საიდუმლოთია შესაძლებელი. აღნიშნულ ნაშრომში ჩვენი (ჩემი) საკვლევი საკითხები მოიცავს:

1. ნათლობის წიაღი, საიდან იღებს სათავეს ნათლობის ტრადიცია, როგორი იყო ქრისტეს შობამდე და რა ფუნდამენტური ცვლილებები მოუტანა კაცობრიობას ქრისტეს ნათლობამ?

2. რა არის ნათლობის არსი, მისი გამოვლინება სულიერ და ხორციელ სამყაროში და რა დოგმატური ნიუანსები ახლავს თან?

კვლევისას გამოყენებული იქნება აკადემიური ნაშრომები, სტატიები, სახარებები, წმინდანთა გამონათქვამები, პირველადი წყარო (დეკანოზი გიორგი წეროძე – 18.02.2026), საპატრიარქოს მიერ გამოცემული სასწავლო მასალები. მიმოვიხილოთ ჩვენი საკვლევი საკითხები.

# ᲥᲘᲡᲢᲔᲠᲐᲮᲣᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲥᲕᲐ

ქრისტიანობამ ჩამოაყალიბა დღევანდელი ცივილური სამყარო, მრავალი იდეოლოგია, ფილოსოფია და ერი სახელმწიფოები თუ ამ ცალკეული ერების იდენტობა, მათ შორის – საქართველოსი და ქართველების. ქრისტიანობის არსის გარკვევის გზაზე პირველი ნაბიჯია ნათლობის შემეცნება, როგორც ეკლესიაში შესვლის გზა. ნათლობის პრინციპი და იდეა ბევრად ადრე გაჩნდა, ვიდრე გაცხადდა ქრისტიანული პოსტულატები, როგორ გარდაიქმნა და სახე იცვალა ეს ტრადიცია ქრისტიანობის ქვაკუთხედად? საიდუმლოებათა შორის პირველად? და რაც მთავარია, რა სურს ღმერთს, რომ ჩვენში ნათლობის გზით გაცნობიერდეს და დამკვიდრდეს? ამ ყოველივეს გასააზრებლად, პირველწყარო არის სახარებები, მაგრამ, გარდა ამისა, ჩვენ გამოვიყენებთ სხვა სტატიებს, წყაროებსა და მასალებს, რაც დაგვეხმარება უკეთ შევიმეცნოთ ნათლობის საიდუმლო.

# 1.
# ნათლობის წინარე ისტორია:

ნათლობას ჩვენ ჯერ კიდევ ძველ აღთქმაში ვხვდებით, მაგრამ როგორც მთლიანობაში ძველი აღთქმა, უშუალოდ ეს ნათლობის ტრადიციაც მხოლოდ და მხოლოდ ებრაული საკითხია და მან ყოვლად საკაცობრიო დატვირთვა ქრისტიანობის წიაღში შეიძინა. არსებობდა სხვადასხვა სახის ნათლობა, მაგრამ მხოლოდ ქრისტიანობამ სრულყო ის, რამაც საბოლოოდ სულის ცხონების გზა გვაჩვენა.

## 1.1. ნათლობის საწყისი

ღმერთი თავად ნათლავს თავის მოციქულებს, მოციქულთაგან კი ჩვენ გადმოგვეცემა ნათლისღების მსახურება, რომლის წინასახე და ყველაზე უხეში ფორმა იყო წინადაცვეთა. წინადაცვეთა – ებრაული ნათლობის მთავარი

რიტუალია. ებრაელთათვის წინადაცვეთა უფალთან კავშირის რიტუალია, ებრაული ხალხისადმი კუთვნილების ნიშანი. სრულდება დაბადებიდან რვა დღის შემდეგ (შდრ. დაბ. 17:9-13). თავდაპირველად ახალშობილის წინადაცვეთას მისი მამა ან დედა ასრულებდნენ, შემდეგ ეს მოვალეობა „წინადამცვეთს“ (mohel) დაეკისრა, ვინც უანგაროდ ასრულებდა ამ მოვალეობას. წესი სრულდება ორმაგი კურთხევის თანხლებით, რომელთაგან პირველს „მოჰედლი“ წარმოთქვამს, მეორეს კი – ახალშობილის მამა. ამ რიტუალში მონაწილეობს აგრეთვე „სანდიყოსი“, ერთგვარი ნათლია, რომელსაც მუხლებზე უწვენია ბავშვი. წინასწარმეტყველნი ხაზგასმით აღნიშნავდნენ იმის მნიშვნელობას, რომ ფიზიკური წინადაცვეთა გულის წინადაცვეთის თანხლებით აღსრულებულიყო, რაც ადამიანის შინაგანად ღმრთისადმი მიძღვნას გულისხმობს. იესოც, როგორც ებრაელი, წინადაცვითეს. ქრისტიანთათვის წინადაცვეთის ვალდებულება იესო ქრისტეს რწმენის დამკვიდრებასთან ერთად გაუქმდა. იესო ქრისტეს ჯვარზე სიკვდილის შემდეგ წმინდა პავლემ მრავალჯერ აღნიშნა ამ წესის უსარგებლობა. „რამეთუ ქრისტე იესუჲს მიერ არცა წინადაცუეთილებაჲ რას შემძლებელ არს, არცა წინადაუცუეთელებაჲ, არამედ სარწმუნოებაჲ, სიყუარულისაგან შეწევნული“ (გალ. 5:6); „რამეთუ ჩუენ ვართ წინადაცუეთილებაჲ იგი, რომელნი სულითა ღმრთისა ვჰმსახურებთ და ვიქადით ქრისტე იესუჲს მიერ და არა ჴორცთა ვესავთ“ (ფილ. 3:3);

„რომლითაცა წინადაიცჯთეთ წინადაცუეთითა მით ჴელით უქმნელითა, განძარცუვითა მით გუამისა მის ჴორცთა მათ ცოდვათაჲსა წინადაცუეთითა ქრისტესითა“ (კოლ. 2:11). იერუსალიმის კრებაზე მოციქულებმა გაიზიარეს წმინდა პავლეს პოზიცია იუდეველ ქრისტიანთაგან განსხვავებით, რომელთაც სურდათ, წინადაცვეთა წარმართობიდან მოქცეულთათვის დაეწესებინათ (შდრ. საქმ. 15).

## 1.2. იოანესმიერი სინანულის ნათლობა

ისრაელიანთა შორის არსებობდა მიკვეს რიტუალი, რაც გულისხმობდა წყლით განბანვა-განწმენდას. სხვა რელიგიებშიც აქვს წყალს კათარსისის ფუნქცია. ეს ერთი შეხედვით ჰიგიენური აქტი რელიგიური მნიშვნელობისა იყო. იოანე ნათლისმცემელი გარდამავალი წინასწარმეტყველია ახალსა და ძველ აღთქმას შორის. მის მიერ აღსრულდება ერთ-ერთი წინასახეობრივი მსახურება, რასაც ჰქვია წყლითა და სინანულით ნათლისღება: „და იტყოდა: შეინანეთ, რამეთუ მოახლებულ არს სასუფეველი ცათაჲ“ (მათე 3:2); „და ნათელს-იღებდეს იორდანესა შინა მისგან და აღუვარებდეს ცოდვათა მათთა“ (მათე 3:6); „ყავთ უკუე ნაყოფი, ღირსი სინანულისაჲ“ (მათე 3:8); „მე უკუე ნათელ-გცემ თქუენ წყლითა სინანულად. ხოლო რომელი შემდგომად ჩემსა მოვალს, უძლიერეს ჩემსა არს, რომლისა ვერ შემ-

ძლებელ ვარ ჯამლთა მისთა ტჯრთვად. მან ნათელ-გცეს თქუენ სულითა წმიდითა და ცეცხლითა“ (მათე 3:11). იოანე ნათესავი იყო უფლისა, მაგრამ სიყრმიდან მოყოლებული იგი უდაბნოში განმარტოებით ცხოვრობდა, ამიტომ პირადად არ იცნობდა თავის ღვთაებრივ ნათესავს – „და მე არა ვიცოდე იგი, არამედ რაჲთა გამოეცხადოს ისრაჵლსა, ამისთჳს მოვედ მე წყლითა ნათლის-ცემად“ (იოვანე 1:31); „და მე ვიხილე და ვწამე, რამეთუ ესე არს ძე ღმრთისაჲ“ (იოვანე 1:34). იოანესმიერი ნათლობა საფუძვლად დაედო ქრისტიანულ ნათლობას: „მე ნათელ-გცემ თქუენ წყლითა, ხოლო მან ნათელ-გცეს თქუენ სულითა წმიდითა“ (მარ. 1:8); „მიუგო ყოველთა იოვანე და ეტყოდა: მე ნათელ-გცემ თქუენ წყლითა, ხოლო მოვალს უძლიერესი ჩემსა, რომლისა არა ვარ ღირს ჯამლთა მისთა ტჯრთვად; მან ნათელ-გცეს თქუენ სულითა წმიდითა და ცეცხლითა“ (ლუკა 3:16). მსგავსი ნათლობით იოანე მხოლოდ ებრაელებს ნათლავდა: „და მრავალნი ძეთა ისრაჵლისათაგანნი მოაქცინეს უფლისა, ღმრთისა მათისა“ (ლუკა 1:16); „და მოჰვლიდა ყოველსა მას გარემო სოფლებსა იორდანისასა და ქადაგებდა ნათლის-ცემასა სინანულისასა მისატევებელად ცოდვათა“ (ლუკა 3:3). ეს იყო მხოლოდ სინანულის ნათლობა: იოანეს ნათლობა არ არის მხოლოდ მორალური განწმენდა. იგი ადამიანის მომზადებაა ძველი, ჩაკეტილი არსებობის დატოვებისთვის, რათა ქრისტეში მიიღოს ახალი

ეკლესიური სიცოცხლე. სინანული არის ინდივიდუალობის კრიზისი (განბანის, წყალში შთაფვლის გზით) და თანაზიარებისკენ შემობრუნება. ამას ითხოვს იოანე. „გასასწორებლად“ გვთავაზობს სამ კომპონენტს: 1) ქონების გაზიარება ნიშნავს საკუთრებაზე აგებული ინდივიდუალობის უარყოფას და სხვებთან ურთიერთობით არსებობაზე გადასვლას. პიროვნება იბადება მაშინ, როცა სხვა აღარ არის საფრთხე, არამედ ძმა, რაც საბაზისო რესურსებზე თანაბარი წვდომისკენ მოწოდებით არის გამოხატული იოანე ნათლისმცემლის სიტყვებში (ლუკა 3:11: „მიუგო და უთხრა მათ: „ვისაც ორი მოსასხამი აქვს, მისცეს უქონელს. და ვისაც საჭმელი აქვს, ისიც ასე მოიქცეს“. და ა. შ.). 2) ხელისუფლება ეკლესიაში და საზოგადოებაში არ არის ბატონობა, არამედ ურთიერთობის მსახურება. ძალაუფლება თავისუფლდება ცოდვისგან მაშინ, როცა ის სხვათა არსებობის სამსახურში დგება. სწორედ ამიტომ მებაჟეს იოანე ნათლისმცემელი მოუწოდებს ძალაუფლებრივი ვერტიკალის სამართლიანად დაცვისკენ. 3) ძალა პიროვნულ თავისუფლებად იქცევა მხოლოდ მაშინ, როცა უარს ამბობს სხვის დაქვემდებარებაზე. ძალადობა სხვა პირის უარყოფაა; სიყვარული კი – მისი არსებობის დადასტურება. ამიტომ არის ასე ხაზგასმული იოანე ნათლისმცემელთან: „ჯარისკაცებს ნურავის შეავიწროებთ, ცილს ნუ დასწამებთ და თქვენს ჯამაგირს დასჯერდით“ (ლუკა 3:14).

„იყო იოვანე უდაბნოსა და ნათელ-სცემდა და ქადაგებდა ნათლის-ცემასა სინანულისასა მისატევებელად ცოდვათა“ (მარ. 1:4). ასე რომ, იოანეს მიერ მონათლულები შემდგომში უნდა მონათლულიყვნენ ქრისტეს ნათლობითაც, რადგან მათზე სულიწმიდა არ გადასულა. ეს ნათლობა იყო მხოლოდ სამზადისი ქრისტიანული ნათლობის საიდუმლოებისა, მისი წინამორბედი და ჩანასახი. ნათლობა ქრისტიანული წესით, რომელიც ჩვენ ვიცით, დამკვიდრდა მხოლოდ ქრისტეს აღდგომის შემდგომ, ვინაიდან მან გამოისყიდა ჩვენი ცოდვები საკუთარი სისხლით და ამავე სისხლით დართო ნება მორწმუნეთა ნათლობისა: „ესე თქუა სულისა მისთჳს, რომელი მიღებად იყო მორწმუნეთა მათ მისა მიმართ, რამეთუ არღა მოცემულ იყო სული წმიდაჲ, რამეთუ იესუ არღა იყო დიდებულ“ (იოანე 7:39); „რომელმან-იგი ყოველივე თჳსისა ღმრთეებისა ძალი საცხორებელად და ღმრთისა სამსახურებელად მოგუანიჭა ჩუენ მეცნიერებითა მისითა, რომელმან-იგი მიჩინნა ჩუენ თჳსსა მას დიდებასა და სათნოებასა“ (2 პეტრე 1:3); „რომელი-იგი გამოჩნდი ძედ ღმრთისა ძალითა და სულითა მით სიწმიდისაჲთა, აღდგომით, მით მკუდრეთით იესუ ქრისტეს უფლისა ჩუენისაჲთა“ (1 კორ. 1:4); „მოუჴდა მათ იესუ, ეტყოდა და ჰრქუა: მომეცა მე ყოველი ჴელმწიფებაჲ ცათა შინა და ქუეყანასა ზედა. წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელ-სცემდით მათ

სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა, და ასწავებდით მათ დამარხვად ყოველი, რაოდენი გამცენ თქუენ. და აჰა ესერა მე თქუენ თანა ვარ ყოველთა დღეთა და ვიდრე აღსასრულადმდე სოფლისა“ (მათე 28:18-20). „რომელსა ჰრწმენეს და ნათელ-იღოს, ცხოვნდეს; და რომელსა არა ჰრწმენეს, დაისაჯოს“ (მარ. 16:16). აქედან ჩანს, რომ ნათლობა უკვე ყოველი ადამიანისთვისაა. და არა მხოლოდ ებრაელთათვის, და ესე იქნება უკუნითი-უკუნისამდე და არა დროებით, ნათლობა არის აუცილებელი პირობა სულის ცხონებისთვის. ამის შემდგომ წმინდა მოციქულებმა დაიწყეს ნათლობის იდუმალების აღსრულება: „და აჰა ესერა მე მოგივლინო თქუენ აღთქუმაჲ იგი მამისა ჩემისაჲ. ხოლო თქუენ დასხედით ქალაქსა ამას შინა იერუსალიმსა, ვიდრემდე შეიმოსოთ ძალი მაღლით“ (ლუკა 24:49). იოანეს მიერ მონათლულებმა არც კი უწყიან სულიწმიდის არსებობის შესახებ, ეს იყო სინანულის ნათლობა, რომელიც უფრო მონანიების ფუნქციას ასრულებდა. ქრისტეს მოციქულებიც ნათლავდნენ ზუსტად ისე, როგორც იოანე და არა სხვა ნათლობით, რადგან სხვა ნათლობა არ არსებობს, გარდა იმისა, რა წესითაც მოინათლა ქრისტე, მაგრამ იდუმალება ქრისტეს აღდგომამდე ბოლომდე არ იყო გათქმული და ნათლობაც ქრისტეს აღდგომამდე ვერ ასრულებდა თავის დღევანდელ დანიშნულებას: „მიუგო იესუ და ჰრქუა მას: ამენ, ამენ გეტყჳ შენ: უკუეთუ ვინმე არა

იშვეს წყლისაგან და სულისა, ვერ ჴელ-ეწიფების შესლვად სასუფეველსა ღმრთისასა“ (იოანე 3:5). ამის შემდგომ ყოველი მორწმუნე ინათლება. წმინდა ბასილი დიდი: „იოანე ქადაგებდა მონანიების ნათლობას; და მასთან მიდიოდა მთელი იუდეა“. იოანე სულიწმიდით იმიტომ არ ნათლავდა, რომ უბრალოდ არ ენახა ის. ასე, რომ იოანესმიერი ნათლობა ატარებს შემამზადებელ ძალას ქრისტიანული ნათლობისა.

## 1.3. ქრისტეს ნათლობა/კაცობრიობის განწმენდა

თითქმის ოცი საუკუნის წინ ისრაელში, მდინარე იორდანეს ნაპირთან, უდიდესი მისტიკური საიდუმლო აღესრულა. უფალი ჩვენი იესო ქრისტე თავის წინამორბედთან, იოანესთან მივიდა, რომელიც იუდეველებს მდინარე იორდანეში ნათელს სცემდა სინანულის ნათლისღებით (მას მხოლოდ განსაწმენდი მნიშვნელობა ჰქონდა და არა მაცხოვნებელი დატვირთვა), უფლის ნათლისღების სვინაქსარში ვკითხულობთ: „იესო ქრისტე მოინათლა ოცდაათი წლისა, იმ ასაკში, როცა ადამიანი ადვილად იხრება ნებისმიერი ცოდვისკენ. წმ. ოქროპირისა და თეოფილაქტეს თქმით, როგორც პირველ ასაკს – ყრმობას – ახლავს უამრავი მოურიდებლობა და უგუნურება, მეორეს – სიჭაბუკისას – ახასიათებს სხეულის ხორციელი გულისთქმებით აღგზნე-

ბა; ხოლო ოცდაათწლიანი, სრული მამაკაცის ასაკისათვის დამახასიათებელია მომხვეჭელობის, ფუჭი დიდებისმოყვარეობის, მრისხანებისა და ყოველი ცოდვისადმი მიდრეკა. აი, ამ ასაკამდე გადადო უფალმა თავისი ნათლობა, რათა ყოველი ასაკის კანონი შეესრულებინა: რათა გაეწმინდა და გაენათლებინა მთელი ჩვენი ბუნება და მოეცა ძალა ვნებათა დასათრგუნად და სასიკვდილო ცოდვებისაგან დასაცავად". „მაშინ მოვიდა იესუ გალილეაჲთ იორდანედ იოვანესა ნათლის-ღებად მისგან. ხოლო იოვანე აყენებდა მას და ეტყოდა: მე მიჴმს შენ მიერ ნათლისღებაჲ, და შენ ჩემდა მოხუალა? მიუგო იესუ და ჰრქუა მას: აცადე აწ, რამეთუ ესრეთ შუენის ჩუენდა აღსრულებად ყოველი სიმართლე. მაშინ მიუშუა მას. და ნათელ-იღო იესუ. და მეყსეულად აღმოვიდა რაჲ წყლისა მისგან, და აჰა განეხუნეს მას ცანი, და იხილა სული ღმრთისაჲ, გარდამომავალი, ვითარცა ტრედი, მოვიდა და დაადგრა მას ზედა. და ჴმაჲ იყო ზეცით და თქუა: ესე არს ძე ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო-ვიყავ" (მათე 3:3-17); „და იყო მათ დღეთა შინა მოვიდა იესუ ნაზარეთით გალილეაჲსაჲთ და ნათელ-იღო იოვანესგან იორდანესა. და მეყსეულად აღმოსლვასა მისსა მიერ წყლით იხილნა ცანი განხმულნი და სული ღმრთისაჲ გარდამომავალი, ვითარცა ტრედი, მის ზედა. და ჴმაჲ იყო ზეცით: შენ ხარ ძე ჩემი საყუარელი, შენ სათნო-გიყავ" (მარ. 1:9-11); „და იყო ნათლის-ღებასა მას ყოვლისა ერისასა იესუცა ნათელ-იღო და ილოცვიდა; და განეხუნეს

ცანი, და გარდამოჴდა სული წმიდაჲ ჴორციელითა ხილვითა, ვითარცა ტრედი, მის ზედა; და ჴმაჲ იყო ზეცით და თქუა: შენ ხარ ძე ჩემი საყუარელი, შენ სათნო-გიყავ, და თავადსა იესუს ეწყო ოდენ ყოფად მეოცდაათესა წელსა, რომელი საგონებელ იყო ძედ იოსებისა“ (ლუკა 3:21-23). თავისი ჩასვლით იორდანეში მან განასხივოსნა წყალი და მისით – მთელი კაცობრიობა და აქ ვხედავთ, რომ მონათლულ იესოზე გადმოვიდა სულიწმიდა, როგორც გადმოდის ის ყოველ მორწმუნეზე, რომელმაც შეასრულა ნათლობის იდუმალება. მაგრამ, განა არ მკვიდრობდა ღვთის სული იესოსთან ქალწულ მარიამში მისი ჩასახვის დღიდან? თავისი ღვთაებრიობით ღვთის ძე განუყოფელია მამისა და სულისაგან; მაშინ რაღაზე გადმოვიდა მასზე სულიწმიდა ხილულად? რისთვის მოინათლა წმიდათა შორის უსპეტაკესი და უწმიდესი უფალი ჩვენი იესო ქრისტე? ღვთის სიტყვის განმმარტებელ და სიწმიდით განბრძნობილ წმინდა მამებს – გრიგოლი ნეოკესარიელს, თეოფილაქტესა და ოქროპირს – შესანიშნავად აქვთ აღწერილი, როგორც სულიერი მდგომარეობა ქრისტეს წინამორბედისა, იმ წუთებში ასევე პასუხი იესო ქრისტესი. მათი აღწერით, ქრისტეს წინამორბედის ბაგეთაგან უნებურად გამოითქვა უდიდესი თავმდაბლობის სიტყვები მასთან მოსული ქრისტეს დიდებულების მიმართ. იგი, რომელიც სხვებისაგან იღებდა აღსარებას, ახლა თვითონ წარმოთქვამდა აღსარებას უფალთან და ეტყოდა: მე მიხმს შენ მიერ ნათლის-ღება, – მე ვარ ადამიანი და მხოლოდ მონაწილე შენი მადლისა, შენ

კი ღმერთი და ადამიანი; მე ერთი ცოდვილთაგანი ვარ, შენ კი – ერთად-ერთი უცოდველი; მე ადამის შვილი ვარ და მაწევს მისი ცოდვა და ვსაჭიროებ და ცოდვისაგან გათავისუფლებას, შენ კი მისგან თავისუფალი ხარ; მე ვნათლავ წყლით, შენ კი ნათელსცემ წმიდა სულით – „და შენ ჩემდა მოჰხუალა?“. იოანეს ეტყობა გაკვირვება. ამ კითხვაზე ქრისტემ თავად ინება იოანესთვის პასუხის გაცემა, რათა ყოველი სიმართლე შეესრულებინა. და აღსრულებულიყო წინასწარმეტყველება, რომელიც იოანეს მიეცა: „რომელსა ზედა იხილო სული გარდამომავალი და დადგრომილი მის ზედა, იგი არს, რომელმან ნათელ-გცეს სულითა წმიდითა“ (იოან. 1:33). დეკანოზი გიორგი წეროძე აზუსტებს: „ქრისტეს ნათლობა არის ადამიანის ღვთაებრივ ცხოვრებაში მოწვევის, მასში დაბადების აქტი. ქრისტეში კაცობრიობა პირველად იღებს შესაძლებლობას, რომ ბუნებრივი და მოკვდავი არსებობიდან გადავიდეს პიროვნულ, უკვდავ ურთიერთობაში. ამიტომ ნათლობა მხოლოდ რიტუალი კი არა, ქმნილების ეკლესიური ჩართვაა სამების ცხოვრებაში“ (დეკანოზი გიორგი წეროძე 18.02.2026). რითაც ღვთაება თავისი სამივე ჰიპოსთასით გვევლინება. ქრისტეს ნათლობით, შემდგომ კი მისი მკვდრეთით აღდგომით ჩვენთვის გამხელილი იქნა შვიდ საიდუმლოებათაგან უპირველესი, ნათლობის საიდუმლო. ნათლობაში ადამიანი ერთვება ქრისტეს სიკვდილსა და აღდგომაში, რითაც ბიოლოგიური არსებობის აუცილებლობა აღარ არის მისი საბოლოო საზღვარი.

# 2. ნათლობის საიდუმლო

ნათლობა იკავებს საიდუმლეობათა შორის პირველ ადგილს, რადგან ის ერთგვარი კარიბჭეა სხვა საიდუმლოებებისთვის, ვინაიდან ეკლესიაში შესვლა თავად ნათლობაა, რის გარეშეც სხვა საიდუმლოებებს ვერ განახორციელებ. ამიტომ ნათლობის საიდუმლო ეს პირველი ცოდნაა, რასაც სხვაზე ადრე გასცემენ. ვინც არ მონათლულა, ვერასდროს განახორციელებს სხვა საიდუმლოებებს.

## 2.1. ეკლესიის წიაღში შესვლა

ადამიანი ცოდვილია, რადგან მას შთამომავლობით ერგება პირველცოდვა, და მხოლოდ სულიწმიდას შეუძლია აცხონოს სული და განწმიდოს ამ პირველცოდვისგან. მაგრამ ნათლობისას ის ყველა ცოდვისგან თავისუფლდება. ნათლობის დროს სულიწმიდა თავად გარდამოდის ადამიანზე და ყოველგვარად წმენდს მას. ნათლობას ოდითგანვე სხვა-

დასხვა სახელით მოიხსენიებდნენ: განბანა, წმინდა წყარო, ხანდახან უბრალოდ – წყალი ან განნათლება, გასხივოსნება, განცოცხლებად და სხვა მრავალი სახელწოდებით. ადამიანის ცხონებისთვის აუცილებელია მისი შესვლა ქრისტეს ეკლესიანი, ანუ (შესხეულება). ამისთვის კი აუცილებელი წინაპირობაა რწმენა ქრისტესი და ნათლისღება წმიდა სამების სახელით: „სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა“ (მათე 28:19); „მიუგო იესუ და ჰრქუა მას: ამენ, ამენ გეტყჳ შენ: უკუეთუ ვინმე არა იშვეს მეორედ, ვერ ჴელ-ეწიფების ხილვად სასუფეველი ცათაჲ“ (იოანე 3:3); „რომელსა ჰრწმენეს და ნათელ-იღოს, ცხოვნდეს“ (მარკ. 16:16). აქედან გამომდინარე ნათლისღების აღსრულებამდე მომავალ ქრისტიანს სჭირდება სარწმუნო სწავლება. ამისთვის პირველ ხანებში აუცილებელი იყო განსწავლა (კატეხიზაცია), რასაც აღასრულებდა მღვდელი. სწავლება ჩვეულებრივ გრძელდებოდა სამ წელიწადს. პირველ ქრისტიანთა შორის არსებობდა ჩვეულება, რაც შეიძლება გვიან მომხდარიყო ნათლობა, სიკვდილის ჟამს მიახლოებისასაც კი, რადგან სწამდათ, რომ ასე პირადი ცოდვებისა და წინაპართა ცოდვებისგან განიწმინდებოდნენ და ცათა სასუფეველში ბევრად სუფთა სულით მოხვდებოდნენ. მესამე საუკუნიდან კი შემოვიდა ჩვილთა და ყრმათა მონათვლის წესი, მაგრამ არა უწინარეს დაბადებიდან ორმოცი დღისა. შედეგად თანდათან გაუქმდა სისტემური ეკლესიისმიერი კატეხიზაცია, ხოლო კათაკმევლის სწავ-

ლების საქმე უკვე მიმქმელს (ნათლიას) დაეკისრა. ანუ მონათლულის ეკლესიურობაში განსწავლის ვალდებულება გადავიდა ნათლიაზე. თუმცა დღესდღეობით ამას მშობლები, სკოლის მასწავლებლებიც და ლექტორებიც ითავსებენ რელიგიის გაკვეთილზე. მიმქმელი (ნათლია) ესწრება და მონაწილეობს ნათლობაში, როგორც თავმდები იმისა, რომ ნათელღებული განისწავლება და ზიარ-იქნება ქრისტიანული სარწმუნოებისა. მიმქმელი წარმოთქვამს მოსანათლავი ყრმის ნაცვლად: „განვაგდებ სატანას“, „შევუდგები ქრისტესა“ და რწმენის სიმბოლოს. აკრძალულია მიმქმელი (ნათლია) იყოს სხვა სარწმუნოების წარმომადგენელი, ან მწვალებელი, სქიზმით განდგომილი თუ დაყენებული. მიმქმელი ვერ იქნება ვერც ბავშვის მშობელი. ნათლიისა და ნათლულს შორის სულიერი ურთიერთობიდან ყალიბდება სულიერი ნათესაობა, რომელიც ვრცელდება ახალი ნათესავებზეც და დაბრკოლებაა ქორწინებისათვის. თუ ნათლისღებაში მონაწილეობს რამდენიმე ნათლია, ნამდვილად მიიჩნევა ის, რომელიც მოსანათლავს ემბაზისაგან მიიქვამს. საგანგებო შემთხვევებში ეკლესიას შეუძლია დაუშვას ნათლობა მიმქმელების გარეშეც. კათაკმევლების სწავლების დასრულებისთანავე, მას უშუალოდ მოსდევს ნათლისღების აღსრულება. „საიდუმლო“ საგანგებოდ ეწოდა ეკლესიის გარკვეულ ღვთისმსახურებებს, რომელთა მეშვეობითაც და გარკვეული პირობების შესაბამისად მორწმუნეს გადაეცემა საღმრთო მადლი. ნათლისღების საიდუმ-

ლოს აღსრულებას თან ახლავს მირონცხების საიდუმლო. ლაოდიკიის 48-ე კანონი აცხადებს: „ვითარმედ უჴმს ნათლისმღებელთა შემდგომად ნათლისღებისა ცხებქაჲ საცხებელითა ზეცისანთა და თანაზიარ-ყოფად ქრისტეს მეუფებისა“; იმავეს აცხადებს წმინდა კვიპრიანეს კანონიც. ანუ აუცილებელია ნათელღებულის მირონცხება, რათა იგი ქრისტეს თანაზიარი გახდეს. ეს ეგრეთ წოდებულ ბეჭედია სულიწმიდისა ნათელღებულზე. და ამით აღიბეჭდება და უფლება ენიჭება მას ეკლესიის წიაღში შემოსვლისა. მირონცხების საიდუმლოს მეშვეობით ქრისტიანს ენიჭება სულიწმიდის ნიჭნი (სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, სულგრძელება, სიტკბოება და სხვა მრავალი) – „ხოლო ნაყოფი სულისაჲ არს: სიყუარული, სიხარული, მშჳდობაჲ, სულგრძელებაჲ, სიტკბოებაჲ, სახიერებაჲ, სარწმუნოებაჲ“ (გალატ. 5:22) და იგი იხარებს ყოველი სიკეთით, რომელიც მოენიჭათ ეკლესიის დამაარსებლისაგან მის წევრებს. მოციქულთა მოღვაწეობის ხანაში ქრისტიანთა აღბეჭდვა ეკლესიის წევრებად და სულიწმიდის მადლის გადმოცემა ხდებოდა მონათლულების თავზე ან მოციქულების, ან ეპისკოპოსების ხელთა დასხმით. შდრ. საქმე მოც. 19,5-6: „ხოლო მათ, ვითარცა ესმა, ნათელ-იღეს სახელითა უფლისა იესუ ქრისტჱსითა. 6. და დასხმითა ჴელთა პავლესთაჲთა მათ ზედა მოვიდა მათ ზედა სული წმიდაჲ, იტყოდეს ენათა და წინაწარმეტყუელებდეს“. მოგვიანებით ხელდასხმის ნაცვლად მირონცხების საიდუმლო იკურთხა. სასუ-

ლიერო პირი ჯვრის სახით სცხებს ახლად ნათელღებულს მირონს და ამბობს: „ბეჭედი მონიჭებულ არს სულისა მიერ წმიდისა, ამინ“. დიაკონი, მონაზონი და საერო პირი ვერ აღასრულებენ მირონცხების საიდუმლოს, იკონომიითაც კი. მართლმადიდებელი ეკლესიის წევრის ზოგადი სტატუსი მოიპოვება კომპეტენტური სასულიერო პირის მიერ ნათლობის საიდუმლოს აღსრულებით, შესაბამისი ლიტურგიული სტანდარტით გათვალისწინებული ტიპიკონით. („ნათლავ“ – (Βαπτίζω) – გამომდინარეობს ძველი ბერძნული ზმნიდან არქაული მნიშვნელობით – „ჩაყვინთვა“). ასევე, საცხოვრებელი სახლის შეძენა ავტოკეფალიური ეკლესიის ტერიტორიულ საზღვრებში ქმნის მორწმუნის განსაკუთრებულ სამართლებრივ და კანონიკურ კავშირს ამ ადგილობრივ ეკლესიასთან (მაგალითად, ნებისმიერი მონათლული მართლმადიდებელი ქრისტიანი, რომელმაც შეიძინა საცხოვრებელი საბერძნეთის ავტოკეფალიური ეკლესიის იურისდიქციის საზღვრებში, ხდება ამ ეკლესიის წევრი. მართლმადიდებლური დოგმატური სწავლების თანახმად, ნათლობა, რომელსაც აღასრულებს, უპირველეს ყოვლისა, სასულიერო პირი მღვდლის ან ეპისკოპოსის წოდებით, მოიცავს მონათლულის ნაკურთხ წყალში სამგზის შთაფვლას ყოვლადწმინდა სამების მოხმობით (არსებობს გამონაკლისები, რაზეც მოგვიანებით ვისაუბრებთ). ეპისკოპოსის ნებართვა ნათლობის აღსრულებისთვის არ არის საჭირო.

## 2.2. წინაპირობა ნათლისღების კანონიკური შესრულებისთვის.

საწყისში ძალა, რომ აღასრულონ ნათლობის საიდუმლო, მინიჭებული ჰქონდათ წმინდა მოციქულებს (მათე 28:19) (მარც. 16:16). ოდითგანვე ეს ნათლობის სწავლება წმინდა მოციქულებისგან გადაეცა ეკლესიას და მოციქულთა მემკვიდრეებს – ეპისკოპოსებს, მათგან კი პრესვიტერებს (მღვდელს და მღვდელ-მონაზონს). მოციქულთა წესებში, სადაც მოხსენებულია ნათლობის საიდუმლო, ყველგან მოხსენებულია ეპისკოპოსი და პრესვიტერი. მოციქული განკარგულებებით ითქვა, რომ ნათლობის უფლებას ისინი მხოლოდ ეპისკოპოსებს და პრესვიტერებს უბოძებენ და არა სხვებს, მომღერლებს, მკითხველებს თუ მქადაგებლებს. ეგნატე ღვთითშემოსილი: „ეპისკოპოსთა გარეშე დაუშვებელია ნათლობა“. ტირტულიანი: „ნათლობის აღსრულების უფლება აქვს პირველმღვდელს, მაშასადამე ეპისკოპოსს; შემდგომ – პრესვიტერს დიაკვნებთან ერთად, მაგრამ არა ეპისკოპოსის კურთხევის გარეშე“. ხანდახან დიაკვნებს ეძლევათ ნათლობის უფლება, წმინდა ფილიპე დიაკვნის მაგალითზე, მაგრამ ეს უფლება (კურთხევა) უკიდურეს შემთხვევაში ეძლევათ, თუ არც ეპისკოპოსი და პრესვიტერი არ იმყოფებიან ნათლობის აღსასრულებლად. უშუალოდ დიაკონს კი არასდროს ეკუთვნოდა ნათლობის უფლება – „დიაკონი... არ აღასრულებს ნათლობს“

– წერია მოციქულთა დადგენილებებში. წმინდა ეპიფანე: „დიაკონს თავისი ეკლესიური ხარისხით არ აქვს უფლება აღასრულოს რომელიმე საიდუმლოება, არამედ მხოლოდ ემსახუროს აღსრულებისას“. უკიდურესი აუცილებლობისას რიგით მრევლსაც შეუძლია ნათლობის აღსრულება, არა მხოლოდ მამაკაცებს, არამედ ქალებსაც. მაგრამ სხვა ვითარებებში ეს მკაცრად აკრძალულია, განსაკუთრებით ქალებისთვის. ზოგიერთ ეკლესიის სწავლულთა თქმით, ქალებს რომ შესძლებოდათ ნათლობის აღსრულება, მაშინ ქრისტე ნათლობას მიიღებდა წმინდა მარიამისგან და არა იოანესგან, სხვა ქრისტიანული კონფესიები, რომლებმაც მოახდინეს ქალის ემანსიპაცია ნათლობის საკითხში, მოხსენიებული არიან, როგორც მოციქულთა სწავლებებისგან აცდენილნი. მსგავსი პრაქტიკა პირველად დამკვიდრდა მარკიონეტელ ერეტიკოსებში. იმ ზრდასრულებს კი, რომელთაც სურათ, რომ მონათლული იყვნენ, ევალებათ: 1) რწმენა – „წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელ-სცემდით მათ სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა,“ (მათე 28:19); „რომელსა ჰრწმენეს და ნათელ-იღოს, ცხოვნდეს; და რომელსა არა ჰრწმენეს, დაისაჯოს“ (მარკ. 16:16). მოციქულთა სწავლებებიდან ნათლად ჩანს, რომ პირველ ყოვლისა ისინი ცდილობდნენ სხვათა განსწავლას და მხოლოდ შემდგომ მონათვლას, იმისა, ვინც უკვე იწამა. სწორედ ამიტომ პასტორები უპირველესად ითხოვდნენ რწმენის ქონას; 2)

მონანიება – წმინდა მოციქული პეტრე პირდაპირი ტექსტით გვეუბნება, რომ მოვინანიოთ – ეს მოთხოვნა არსებობდა ოდითგანვე და დღემდე არსებობს ეკლესიაში, სწორედ ამიტომ ნათლობის წინ სთხოვენ, რომ ყველაფერი მოინანიონ. რაც შეეხება ჩვილებს, ვინაიდან მათ არ მოეთხოვებათ რაიმეს გაცნობიერება, ისინი ინათლებიან მშობელთა რწმენის მიხედვით, რომლებიც შვილის ნაცვლად წარმოთქვამენ სიტყვებს – „განვედ სატანავ“. დიონისე არეოპაგელი: „ჩვენს ღვთაებრივ მასწავლებლებს, ეუბნება ის, რომ ნებამოსილ იქნა (ἔδοζεν), დაეშვა ჩვილთა ნათლობა იმ პირობით, რომ მისი ბუნებრივი მშობლები კარგად განასწავლებენ მას ღვთაებრივ საკითხებში და მოუვლიან მას ისე, როგორც მამა, ხსენებულ მაღლა (Θείος), როგორც მცველი მისი. ამ ადამიანს იერარქი წარმოათქმევინებს შესაბამის სიტყვებს – ამბობენ ტერტულიანი, ავგუსტინე და სხვები“. 1) პასუხისმგებლობით აღჭურვილი პირი ნათლისღების შესრულებისთვის არის მართლმადიდებელი ეკლესიის კანონიკური სასულიერო პირი, თუ ის აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს: ა) იგი უნდა ეკუთვნოდეს მართლმადიდებელ ეკლესიას, არ უნდა იყოს მწვალებელი ან სქიზმით განდგომილი; ბ) მას უნდა ჰქონდეს სამოციქულო მემკვიდრეობა (ხელდასხმით საშუალებით); გ) იგი უნდა იყოს კანონიკურად ხელდასხმული, არ უნდა იყოს დაყენებული (დაყენებით დასჯილი – განპატიჟებული), ან

განკვეთილი. სასულიერო პირის ცოდვები არ ახდენენ გავ-ლენას საიდუმლოს ძალმოსილებაზე, თუკი სასულიერო პირი არ არის განკვეთილი ან დაყენებული; დ) ნათლის-ღების საიდუმლოს უნდა აღასრულებდეს ადგილობრივი ეპისკოპოსი ან მღვდელი, ან თუნდაც უფლებამოსილებით უნდა იყოს აღჭურვილი ადგილობრივი ეპისკოპოსის მიერ საიდუმლოს აღსრულებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევა-ში ამგვარი მოქმედება შეფასდება საკუთარი სამრევლოს გარეთ მოქმედებად და ეჭვქვეშ იქნება მისი ძალმოსილე-ბა, თუმცა სამრევლოს გარეთ მოქმედებაც შემდგომში პა-სუხისმგებლობით აღჭურვილ პირთაგან შეიძლება ძალ-მოსილად იყოს აღიარებული; ე) იგი უნდა მოქმედებდეს შეგნებით, სინდისიერად, პატიოსნად და თავისუფლად, და ითვალისწინებდეს, რომ გადასცემს საღმრთო მადლს. 2) ადგილი ნათლისღების აღსრულებისთვის არის ეკლესია. გამონაკლისის სახით ნათლობა შეიძლება შესრულდეს მდინარეში, ტბაში და ა. შ. V-VI მსოფლიო კრების 59-ე კანონით იკრძალება ნათლობის აღსრულება სახლებში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საქმე იკონომოს წესით მო-სანათლავის ჯანმრთელობას მიემართება. 3) მასალა ნათ-ლისღებისათვის: ნათლობა უნდა შესრულდეს ნაკურთხი და სუფთა წყლით. 4) ნათლობის წესი არის ნაკურთხ წყ-ალში მოსანათლავის სამჯერ შთაფვლა და ამოყვანა. ამ-ასვე ნიშნავს ბერძნული სიტყვა „βαπτίζω“, „ვშთაფლავ“ ანუ

„ვნათლავ“ – წმიდა სამების სახელით (მათე 28:19; წმიდათა მოციქულთა 49-ე კან.) სამჯერადი შთაფვლა და ამოყვანა სიმბოლურად ასახავს იესო ქრისტეს საფლავში ყოფნას სამი დღით და აღდგომას.

## 2.3. ნათლობის საიდუმლოს ხილული მხარე

ნათლობის საიდუმლოებების ხილული მხარეა სამგზის წყალში შთაფვლა, წარმოთქმული სიტყვებით: „ნათელს იღებს მონა ღვთისა სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა“. ნათლობის ნივთიერებაა წყალი, უშუალოდ მოქმედებაა წყალში სამგზის შთაფვლა, რასაც ახლავს წარმოთქმული სიტყვები. 1) ნათლობის ნივთიერება უნდა იყოს წყალი, სუფთა, ბუნებრივი. თავად ქრისტემ მიუთითა ამ ნივთიერებაზე ნათლობისას – „მიუგო იესუ და ჰრქუა მას: ამენ, ამენ გეტყჳ შენ: უკუეთუ ვინმე არა იშვეს წყლისაგან და სულისა, ვერ ჴელ-ეწიფების შესლვად სასუფეველსა ღმრთისასა“ (იოანე 3:5). წყლით ნათლობას ასრულებდნენ წმინდა მოციქულები, ასე რომ, ამ მემკვიდრეობით, „ნათლობისთვის ეკლესია იყენებს სწორედ წყალს. კირილე იერუსალიმელი: – „ვინაიდან ადამიანი შედგება ორი ნაწილისგან, სულისგან და სხეულისგან, ამიტომ განწმენდაც ორსახია, უხორცო უხორცოსთვის, და ხორციელი ხორციელისთვის: წყალი ასუფთავებს სხეულს,

ხოლო სულიწმიდა წმენდს სულს, რათა ჩვენ გულით გულახდილით მივუახლოვდეთ ღმერთს, ხოლო სხეულით განბანილით კამკამა წყალს“. გრიგორი ღვთისმეტყველი: „ვინაიდან ჩვენ შევდგებით ორი არსისგან, ანუ სხეულისგან და სულისგან, ანუ არსით ხილულისგან და არსით უხილავისგან, ამიტომ განწმენდაც ორსახია: წყლით და სულიწმიდით. ერთი განწმენდს ხილულს და ხორციელს, ხოლო მეორე ამავდროულად უხორცოს და უხილავს. ერთი არის ხატოვანი ანუ სიმბოლური და მეორე ჭეშმარიტი – ყოველი სულიერი წიაღის გამწმენდი“. ნეტარი ავგუსტინე: „რა არის ნათლობა ქრისტესი? წყლით სავსე ემბაზი წარმოთქმული სიტყვებით (Inverbo): მოაშორეთ წყალი – არ იქნება ნათლობა; გააუქმეთ სიტყვები – არ იქნება ნათლობა“. წმინდა იოანე დამასკელი: „მან (უფალმა) გვიანდერძა ჩვენ, რომ აღვდგეთ წყლით და სულიწმიდით, წყალში შთაფვლით და ლოცვით სულიწმიდის მოხმობით. ვინაიდან როგორც ადამიანი შედგება ორი ნაწილისგან, სულისგან და სხეულისგან, ღმერთმაც გვიბოძა ჩვენ ორგვარი განწმენდა: წყლითა და სული წმიდითა. სული წმიდით, რათა განახლდეს ჩვენში ღვთაებრივი სახე; წყლით, რათა სული წმიდის მადლით განიწმინდოს ჩვენი სხეული ცოდვებისგან და ყოვლისგან ბიწისა. წყალი აქ წარმოადგენს გარდაცვალების სიმბოლოს, ხოლო სული წმიდა სიცოცხლის საწყისს“. მონათვლა უნდა შესრულდეს სამგზის შთაფვლით წყალში, სამგზის – როგორც 3 დღე აღდგომამდე და ღვ-

თის 3 ჰიპოსტასი, ისევე როგორც მეხსიერება სიკვდილის, დამარხვისა და აღდგომის. სწორედ ამიტომ ეკლესიამ არ ცნო და ერეტიკოსებად გამოაცხადა ისინი, ვინც წყალში ერთხელ შთაფვლით ნათლავდა. როგორც კაცობრიობა განიწმინდა წარღვნამ, ახალ აღთქმაში იმავე დანიშნულებას ასრულებს ინდივიდისთვის ნათლობა: „რომლითაცა საპყრობილესა მას სულთა მივიდა და ქადაგა. რომელნი-იგი ურჩ ოდესმე იყვნეს, რაჟამს ერთ გზის თავს-ედვა სულ-გრძელებასა მას ღმრთისასა დღეთა მათ ნოვესთა, შემზადებასა მას კიდობნისასა, რომელსა შინა მცირედნი, ესე იგი არს რვანი სულნი განერნეს წყლისაგან. რომლისა სახედ აწ თქუენცა გაცხოვნებს ნათლის-ღებაჲ, არა ჴორცთაგან განშორებაჲ მწინკულისაჲ, არამედ გონებისა კეთილისა ტრფიალებაჲ ღმრთისა მიმართ აღდგომითა იესუ ქრისტესითა (1 პეტრე 3:19-21) წყლის მეშვეობით წმენდს უფალი ჩვენს სულს და სხეულს: „რაჲთა იგი წმიდა-ყოს, განწმიდა საბანელითა მით წყლისაჲთა და სიტყჳთა“ (ეფეს. 5:26); „არა საქმეთაგან სიმართლისათა, რომელნი-იგი ვქმნენით ჩუენ, არამედ წყალობითა თჳსითა მიჴსნნა ჩუენ, ბანითა მით მეორედ შობისაჲთა, განახლებითა სულისა წმიდისაჲთა“ (ტიტ. 3:5). და ნათლობის მეშვეობით ვეზიარებით ჩვენ ქრისტეს სიკვდილსა და აღდგომას: „და თანა-დავეფლენით მას ნათლის-ღებითა მით სიკუდილსა მისსა, რაჲთა ვითარცა-იგი აღდგა ქრისტე მკუდრეთით დიდებითა მამისაჲთა, ეგრეთცა ჩუენ განახლებითა ცხორებისაჲთა ვიდოდით“

(რომ. 6:4); „მის თანა დაეფლენით ნათლის-ღებითა მით, რომლისა თანაცა აღსდეგით სარწმუნოებითა მით შეწევნითა ღმრთისაჲთა, რომელმან-იგი აღადგინა მკუდრეთით“ (კოლას. 2:12). რაც შეეხება წყლის შესხურებასა და წყლის გადასხმას, ეს გამოიყენებოდა (და გამოიყენება), როგორც გამონაკლისი წესი მძიმე ავადმყოფთა ნათლობისთვის. მსგავსი ნათლობა არ ანადგურებს საიდუმლოების ძალას, მაგრამ გამონაკლისი წესით დაიწვება, ამას ამბობს წმინდა კვიპრიანეც და მართლმადიდებელი ეკლესიაც. ნათლობა უნდა შესრულდეს სამების სახელით: „ნათელ-სცემდით მათ სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა“ (მათე 28:19). ასე და ამგვარად წარმოითქმებოდა სიტყვები ოდითგანვე. ორიგენე: „სულის მაცხონებელი ნათლობა უნდა აუსრულდეს სამების სახელით (auctoritabe), ანუ მოხმობით (cognominatione) მამისა, ძისა და სული წმიდისა“. კვიპრიანე: „თავად ქრისტემ გვიბრძანა მოვნათლოთ სამების სახელით“. წმინდა ათანასე: „ვინც აცალკევებს რაიმეს სამებისგან და ინათლებიან მხოლოდ მამის სახელით, ან მარტო ძის სახელით, ან თუნდაც მამისა და ძის სახელით და არა სულიწმიდის – არ იღებს არც ერთს, ვინაიდან აღსრულდება (τελείωσις) მხოლოდ სამებაში“. გამოთქმა – „ქრისტეში ნათლობა“ ან „ქრისტეს სახელით ნათლობა“ არათუ გამორიცხავს სამების ხსენებას, პირიქით, გვიმტკიცებს, რომ სამებით უნდა მოხდეს ნათლობა. რამეთუ ეს გულისხმობს, მოვინათლოთ ქრისტეს წესით, ისე, რო-

გორც ქრისტემ დაგვიბარა – „რამეთუ რაოდენთა ქრისტეს მიმართ ნათელ-იღეთ, ქრისტე შეიმოსეთ“ (გალ. 3:27); „ანუ არა უწყითა, რამეთუ რომელთა-ესე ნათელ-ვიღეთ ქრისტე იესუჲს მიერ, სიკუდილისა მისისა მიმართ ნათელ-ვიღეთ?“ (რომ. 6:3). ვინც იხილა ძე, იხილა მამა და სულიწმიდა. ამიტომ „ნათელ-ვიღეთ ქრისტე“ გულისხმობს სამების სახელით ნათლობას. სწორედ ამიტომ ეკლესია გმობს ყოველ ერეტიკოსს, ვინც არ ნათლავს სამების სახელით.

## 2.4. ნათლობის უხილავი მხარე და მისი განუმეორებლობა

წყალში ხილული შთაფვლის დროს ხდება რაღაც უფრო მნიშვნელოვანიც, სულიწმიდა უხილავად მოქმედებს მთლიანად იმ ქმნილებაზე, ვინც ინათლება და 1) ხელახლად ქმნის მას, როგორც დაგვიმოწმა თავად იესო ქრისტემ ნიკოდიმოსთან საუბრისას: „ჰრქუა მას ნიკოდიმოს: ვითარ ჴელ-ეწიფების კაცსა ბერსა შობად? ნუუკუე შესაძლებელ არს მუცელსა დედისა თჳსისასა შესლვად მეორედ და შობად?“ (იოანე 3:4). როგორც ვხედავთ ხელახლა დაბადება ნიკოდიმოსმა პირდაპირი სიტყვებით გაიგო, რაზეც ქრისტე პასუხობს: „მიუგო იესუ და ჰრქუა მას: ამენ, ამენ გეტყჳ შენ: უკუეთუ ვინმე არა იშვეს წყლისაგან და სულისა, ვერ ჴელ-ეწიფების შესლვად სასუფეველსა ღმრთისასა. შობილი იგი ჴორცთაგან ჴორცი არს და შობილი

იგი სულისაგან სული არს“ (იოანე 3:5-6); „არა საქმეთა-გან სიმართლისათა, რომელნი-იგი ვქმნენით ჩუენ, არამედ წყალობითა თჳსითა მიჴსნნა ჩუენ, ბანითა მით მეორედ შობისაჲთა, განახლებითა სულისა წმიდისაჲთა“ (ტიტ. 3:5). 2) განწმენდს ყოველგვარი ცოდვისგან. ეს ჩანს: ა) იმავე საუბარში ქრისტესა და ნიკოდიმოსს შორის, სადაც ღიად იკვეთება, რომ ნათლობამდე ჩვენ ვარსებობთ ვით ნაყო-ფი, დაბადებულნი ხორცით, ჩვენ ჩვენი მშობლებისგან ვი-ანდერძებთ პირველცოდვას, რომელიც ცათა სასუფეველში შესვლისთვის გვიშლის ხელს: ასე რომ, ნათლობის საიდუმ-ლოში, დაბადებულნი სულიწმიდით, ჩვენ თავად ვხდებით სული განწმენდილი და სუფთა, რის შედეგადაც ჩვენთ-ვის შესაძლებელი ხდება ცათა სასუფეველში შესვლა. ბ) ჩვენ გადაგვარჩენს ნათლობა, არა ხორცის განბანა რო-გორც ესე, არამედ სულის – „რომლისა სახედ აწ თქუენცა გაცხოვნებს ნათლის-ღებაჲ, არა ჴორცთაგან განშორებაჲ მწინკულისაჲ, არამედ გონებისა კეთილისა ტრფიალებაჲ ღმრთისა მიმართ აღდგომითა იესუ ქრისტესითა“ (1 პეტრ. 3:21). გ) დაბოლოს – „ქრისტემან შეიყუარა ეკლესიაჲ და თავი თჳსი მისცა მისთჳს, რაჲთა იგი წმიდა-ყოს, განწმიდა საბანელითა მით წყლისაჲთა და სიტყჳთა, რაჲთა წარუდგ-ინოს თავადმან თავსა თჳსსა დიდებულად ეკლესიაჲ, რაჲ-თა არა აქუნდეს მწინკულევანებაჲ არცა ნაოჭ ბრძჳლისა, არცა სხუაჲ რაჲ ესე-ვითარი, არამედ რაჲთა იყოს წმიდა და უბიწო“ (ეფ. 5:25-27). სწორედ წარმოთქმული სიტყვებით

განიწმინდება სული და ხდება უბიწო – „და ესრეთ ოდესმე იყვენით, არამედ განიბანენით, არამედ განიწმიდენით, არ-ამედ განჰმართლდით სახელითა უფლისა იესუჲსითა და სულითა ღმრთისა ჩუენისაჲთა“ (1 კორ. 6:11). ამგვარად ნათლობა ყოველ ცოდვას ანადგურებს: ჩვილებში – პირ-ველცოდვას, ხოლო ზრდასრულებში პირველცოდვასაც და საკუთარ ცოდვებსაც, შედეგად სულიწმიდის გადმოსვლის დროს ახალმონათლული ხდება ფაქტობრივად უცოდველი. 3) ნათლობა არის ეკლესიაში შესვლა, ეკლესია კი ქრისტეს სხეულია: „რამეთუ ყოველნი შვილნი ღმრთისანი ხართ სარწმუნოებითა ქრისტე იესუჲსითა, რამეთუ რაოდენთა ქრისტეს მიმართ ნათელ-იღეთ, ქრისტე შეიმოსეთ. 28. არა არს ჰურიაება, არცა წარმართება; არა არს მონება, არც აზნაურება; არა არს რჩევა მამაკაცისა, არცა დედაკაცისა, რამეთუ თქუენ ყოველნი ერთ ხართ ქრისტე იესუჲს მიერ“ (გალ. 3:26-28); „რამეთუ ერთითა სულითა ჩუენ ყოველთა ერთისა მიმართ გუამისა ნათელ-ვიღეთ, გინა თუ ჰუარ-იათა, გინა თუ წარმართთა, გინა თუ მონათა, გინა თუ აზნაურთა; და ყოველთავე ერთისა მიმართ სულისა გჳ-სუამს“ (1 კორ. 12:13); „ანუ არა უწყითა, რამეთუ რომელ-თა-ესე ნათელ-ვიღეთ ქრისტე იესუჲს მიერ, სიკუდილისა მისისა მიმართ ნათელ-ვიღეთ? 4) და თანა-დავეფლენით მას ნათლის-ღებითა მით სიკუდილსა მისსა, რაჲთა ვითარ-ცა-იგი აღდგა ქრისტე მკუდრეთით დიდებითა მამისაჲთა, ეგრეთცა ჩუენ განახლებითა ცხორებისაჲთა ვიდოდით.

5) რამეთუ უკუეთუ თანა-ნერგ ვექმნენით მსგავსებასა მას სიკუდილისა მისისასა, ეგრეთცა აღდგომასა მას მისსა ვიყვნეთ“ (რომ. 6:3-5). 6) ნათლობა იხსნის ჩვენს სულს ტანჯვებისგან და ცოდვებისგან (მარკ. 16:16). წმინდა ბარნაბა: „ნათლობა არის გზა ცოდვების მონანიებისა. ჩვენ წყალში ჩავდივართ ცოდვებით დამძიმებულები და ამოვდივართ განწმენდილები გულში შიშისგან და იმედით სავსე“.

იოანე ოქროპირი: „ყველას განწმინდავს მადლმოსილი ნათლობა... წყლიდან ამოსული ხდება არა მარტო სუფთა, არამედ წმინდა და მართალი... ნათლობა არა მარტო მოგვიტოვებს ცოდვებს, არამარტო გვათავისუფლებს ბოროტისგან, არამედ თითქოს ხელახლა ვიბადებით, ვინაიდან ის ხელახლა გვქნის ჩვენ“. მართლმადიდებელი ეკლესია ღვთის სიტყვის მიხედვით – „ერთ არს ღმერთი და მამაჲ ყოველთაჲ, რომელი ყოველთა ზედა არს და ყოველთა მიერ და ჩუენ ყოველთა შორის“ (ეფ. 4:6). მხოლოდ ერთხელ ინათლება ადამიანი, ნათლობა არ შეიძლება განმეორდეს. ვინაიდან ის სულიერად გვბადებს ჩვენ, რაც ვერ განმეორდება. როგორც ხორციელად ადამიანი შეიძლება დაიბადოს ერთხელ, ისე სულიერადაც. ნათლობისას დასმული ბეჭედი ჩვენ სიცოცხლის ბოლომდე გაგვყვება, უამრავი ცოდვაც რომ ჩავიდინოთ. ტერმულიანი: „ხელმეორედ ნათლობა არ შეიძლება“. იოანე დამასკელი: „ჩვენ ვქადაგებთ ერთხელ ნათლობას ცოდვების მისატევებლად მარადიულ ცხოვრე-

ბაში. ნათლობა ასახავს დასაფლავებას ღვთისას, ამიტომ ჩვენც ერთხელ უნდა მოვინათლოთ, როგორ ერთხელაც აღესრულა და აღსდგა უფალი“. ამიტომ ყოველი, ვინც მოინათლა სამების სახელით, ხელმეორედ არ ინათლება მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ. მეორედ მონათვლა შეიძლება მხოლოდ მათი, ვინც არასწორად მოინათლა.

## 2.5. ნათლობის აუცილებლობა

სულიწმიდის ძალაზე რომ ვიმსჯელოთ, ის აუცილებელი პირობაა ცხონებისთვის და პირველცოდვის მოსანანიებლად (განსაწმენდად), რისთვისაც ერთადერთი გზა ნათლობაა, აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ნათლობა ესაჭიროება ყველას: 1) ქრისტემ თავად დაამოწმა ნათლობის საყოველთაობა: „მიუგო იესუ და ჰრქუა მას: ამენ, ამენ გეტყჳ შენ: უკუეთუ ვინმე არა იშვეს წყლისაგან და სულისა, ვერ ჴელ-ეწიფების შესლვად სასუფეველსა ღმრთისასა“ (იოანე 3:5); „რომელსა ჰრწმენეს და ნათელ-იღოს, ცხოვნდეს; და რომელსა არა ჰრწმენეს, დაისაჯოს“ (მარ. 16:16). აქ ყველაფერი იმდენად მკაფიოა, რომ დამატებით განმარტებას არ საჭიროებს. 2) ნათლობის აუცილებლობას ქადაგებდნენ მოციქულებიც და პირველქრისტიანებს (ვინც იწამეს) უხსნიდნენ ნათლობის გარდაუვალობისა და აუცილებლობის არსს: „ქმართა გიყუარდედ ცოლნი თჳსნი,

ვითარცა ქრისტემან შეიყუარა ეკლესიაჲ და თავი თჳსი მისცა მისთჳს, 26. რაჲთა იგი წმიდა-ყოს, განწმიდა საბანელითა მით წყლისაჲთა და სიტყჳთა“ (ეფეს. 5:25-26); „არა საქმეთაგან სიმართლისათა, რომელნი-იგი ვქმნენით ჩუენ, არამედ წყალობითა თჳსითა მიჴსننა ჩუენ, ბანითა მით მეორედ შობისაჲთა, განახლებითა სულისა წმიდისაჲთა“ (ტიტ. 3:5). 3) სხვა სულიერი მამებიც იმავეს ამტკიცებენ, წმინდა ამბროსი: „არავინ არ შედის ცათა სასუფეველში, თუ არა მონათვლის საიდუმლოებით“. ნათლობის საყოველთაობიდან გამოვდივართ, რომ შეიძლება ჩვილთა ნათლობა, რამეთუ სულიწმიდა მათზეც გარდამოდის: „ხოლო იესუ ჰრქუა მათ: აცადეთ ყრმებსა მაგას მოსლვად ჩემდა და ნუ აყენებთ მაგათ, რამეთუ ეგევითართაჲ არს სასუფეველი ცათაჲ“ (მათე 19:14); „ამენ გეტყჳ თქუენ: რამეთუ რომელმან არა შეიწყნაროს სასუფეველი ღმრთისაჲ, ვითარცა ყრმაჲ, ვერ შევიდეს მას“ (მარკ. 10:15); „მოჰგურიდეს მას ყრმებსაცა, რაჲთა მიეახლნენ მას. და ვითარცა იხილეს მოწაფეთა, აყენებდეს მათ“ (ლუკა 18:15). ყოფილა შემთხვევა, როდესაც უფალს უკურთხებია სულიწმიდით ახალშობილებიც: „რამეთუ იყოს დიდ წინაშე უფლისა და ღჳნოჲ და თაფლუჭი არა სუას და სულითა წმიდითა აღივსოს მიერვე დედის მუცლით მისითგან“ (ლუკა 1:15). 4) ჩვილებისთვისაც არ არის უცხო პირველადი ცოდვა, ამიტომ განწმენდის გზაც მათთვის იგივეა (იოანე 3:5) (რომ. 5:12). 5) ძველ აღთქმაში ებრაელები შევიდნენ აღთქმა-

ში ღმერთთან და წინადაცვეთის სახით აღსრულდებოდა ნათლობა, მათ შორის ჩვილებიც ინათლებოდნენ. როგორც დასაწყისში აღვწერეთ, წინადაცვეთა იყო ნათლობის პირვანდელი, წინარე სახე, რაც ახალ აღთქმაში ნათლობის საიდუმლომ ჩაანაცვლა: „რომლითაცა წინადაიცჳთეთ წინადაცუეთითა მით ჴელით უქმნელითა, განძარცუვითა მით გუამისა მის ჴორცთა მათ ცოდვათაჲსა წინადაცუეთითა ქრისტესითა. მის თანა დაეფლენით ნათლის-ღებითა მით, რომლისა თანაცა აღსდეგით სარწმუნოებითა მით შეწევნითა ღმრთისაჲთა, რომელმან-იგი აღადგინა მკუდრეთით“ (კოლას. 2:11-12); „რამეთუ ყოველნი შვილნი ღმრთისანი ხართ სარწმუნოებითა ქრისტე იესუჲსითა. რამეთუ რაოდენთა ქრისტეს მიმართ ნათელ-იღეთ, ქრისტე შეიმოსეთ. არა არს ჰურიაება, არცა წარმართება; არა არს მონება, არც აზნაურება; არა არს რჩევა მამაკაცისა, არცა დედაკაცისა, რამეთუ თქუენ ყოველნი ერთ ხართ ქრისტე იესუჲს მიერ“ (გალ. 3:26-28). მაშ ასე, თუ ძველ აღთქმაში უფალი თავად ითხოვდა ჩვილთა ნათლობას, ახალ აღთქმაში ამის უფლება რატომ უნდა წაერთვათ ჩვილებს? 6) ყოფილა შემთხვევები, როდესაც მოციქულები მთლიან ოჯახებს ნათლავდნენ, მაგალითად, სტეფანეს სახლი – „ხოლო ნათელ-ვეც სტეფანაჲსცა სახელსა, მერმე არა ვიცი, უკუეთუ ვისმე ნათელ-ვეც სხუასა“ (1 კორ. 1:16). ვერავინ დაასაბუთებს, რომ ამ ოჯახებში ჩვილები არ ყოფილან, ან იმას, რომ ჩვილები და ბავშვები მოუნათლავები

დატოვეს. ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ ნათლობა შესაძლებელია და აუცილებელი ყველასთვის.

## 2.6. სხვა აღმსარებლობის წარმომადგენელთა და სქიზმით განყოფილთა მიღების წესი

გარდა კერპთაყვანისმცემლებისა და ზოგადად ურწმუნოებისა თუ რელიგიის გარეშე პირებისა, რომლებიც მოიქცევიან ქრისტიანებად და შემოდიან ეკლესიის წიაღში ზემოთ ხსენებული წესით (კათაკმევლობა, აღსარება, ნათლისღება, მირონცხება), პასუხისმგებლობით აღჭურვილი საეკლესიო ორგანოების წინაშე ხშირ შემთხვევაში წამოიჭრება საკითხი ეკლესიის წიაღში იმ პირების მიღებასთან დაკავშირებით, რომლებიც მოდიან სხვადასხვა მწვალებლური (ერეტიკული) ან სქიზმატური ქრისტიანული საზოგადოებებიდან. ამ შემთხვევაში დგება საკითხი: რა პროცედურას უნდა მივმართოთ, რათა ესენიც მიიღონ მართლმადიდებელი ეკლესიის კანონიკურ წევრებად? თავიდანვე შეუძლებელია მივიჩნიოთ, რომ ისინი კანონიკურად არიან მონათლული, რაკი მათ მართლმადიდებელი ეკლესიის კანონიკური მღვდლისაგან არ მიუღიათ ნათელი. ვინაიდან მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესიის საიდუმლოებია ძალმოსილი და ქმედითი. შრდ. წმიდათა მოციქულთა 47-ე კანონი: „ეპისკოპოსმან და ხუცესმან, უკუეთუ მეორედ ნათელ-სცეს

მას, რომელსაც ჭეშმარიტი ნათლისღებაჲ აქუნდეს, ანუ შემწიკულებულსა არა ნათელ-სცეს, განიკუეთენ, ვითარცა მოკიცხარი ჯუარისაჲ და საუფლოჲსა სიკუდილისაჲ და არა განმრჩეველი მღდელთაჲ ცრუ მღვდელთაგან". თუმცა ამ შემთხვევაში, როცა მწვალებელი, სხვა აღმსარებლობის წარმომადგენელი (სხვა სარწმუნოების წარმომადგენლები და მწვალებლები ერთმანეთისგან ამგვარად შეიძლება განვასხვაოთ: ა) რომელთაც სწამთ მართლმადიდებელი ეკლესიის სარწმუნოებისაგან რაღაც განსხვავებული და ამასთანავე არ არიან განკვეთილნი, ეწოდებათ ან უნდა ეწოდოთ სხვა სარწმუნოების წარმომადგენლები. ბ) რომელთაც სწამთ და ასწავლიან რაღაც განსხვავებულს იმისგან, რაც სწამს მართლმადიდებელ ეკლესიას და ამასთანავე არიან განკვეთილნი, ეწოდებათ და არიან მწვალებლები. გ) რასაკვირველია, მათაც, რომლებიც არ არის განკვეთილნი, რაკი ასწავლიან და ქმნიან კიდევაც მწვალებლობას (ერესს), შეიძლება ეწოდოს მწვალებლები (ერეტიკოსები). მხოლოდ გამოთქმას, რომ ისინი მწვალებლები არიან, გარკვეულწილად იქნებ მოვერიდოთ, მანამ, სანამ ეკლესია სინოდური წესით არ დაადგენს ამას) ან სქიზმით განყოფილი მოიქცევა მართლმადიდებლობაზე, ეკლესია ხშირად შემწყნარებლობას იჩენს. მისი მოქმედება, რასაკვირველია, არაა ერთგვაროვანი, არამედ სხვადასხვა სახეს იძენს ზოგადი ვითარებისა და კერძო შემთხვევების შესაბამისად. თუმცა კანონის მიხედვით, მართლმადიდებელი ეკლესიის

წიაღში მოსულთ, მონათლულებს წმინდა სამების სახელით და ამასთანავე მღვდლების მიერ, რომელთაც აქვთ სამოციქულო მემკვიდრეობა, იკონომიით მისაღებად შეერაცხებათ ნათლისღება. აქ უნდა გავიაზროთ შემდეგი: ეკლესიას, როგორც საღმრთო მადლის საგანძურის მფლობელს, შესწევს ძალა, აღავსოს ღვთიური მადლით საიდუმლოს ის წესი, რომელიც აღსრულდა ამა თუ იმ მწვალებლურ ან სქიზმატურ ქრისტიანულ განშტოებაზე. რადგან ის, ვისზედაც აღსრულდება საიდუმლოს გარკვეული წესი, მოექცევა მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში, ძირითადი კანონები, რომლებიც მიემართება მწვალებელთა და სქიზმით განყოფილთა მართლმადიდებლობად მოქცევის წესებს, ესენია: ლაოდიკიის მე-7 და მე-8 კანონები, ბასილი დიდის 1-ლი კანონი, II მსოფლიო კრების მე-7 და V-VI მსოფლიო კრების 95-ე კანონი. აღნიშნული კანონებიდან მომდინარეობს დასკვნა, რომ ეკლესია: I. გამოყოფს მწვალებელთა შორის ისეთებს, რომელიც „ახლად უნდა მოინათლონ“ (იგულისხმება, რომ პირველი ნათლობა არ აღსრულდა), ანუ რომელთაც კვლავაც მართებთ ნათლისღება და ისეთებს, რომელთაც არ მართებთ ახლად ნათლისღება. ამრიგად, ეკლესია უარყოფდა ნათლისღებას იმ მწვალებლებისა, რომლებსაც არ სწამთ წმინდა სამება და, შესაბამისად, არ ინათლებოდნენ მისი სამი პირის სახელით. და პირიქით, ეკლესია იწყნარებდა იმ მწვალებელთა ნათლისღებას, რომლებსაც სწამდათ წმინდა სამება და მხოლოდ მცდა-

რად სწამდათ მისი, ან ეკლესიის რაიმე სხვა მოძღვრებისა. ამათ მოეთხოვებოდათ მხოლოდ ხელის მოწერა ლიველონზე (δλίβελλος, libellus), რომელიც შეაჩვენებდა მწვალებლობას და მათ იწყნარებდნენ მირონცხებით, რაკი მათზე აღსრულებულიყო ნათლისღება ეკლესიის კანონიკური წესით; II. ეკლესია მუდამ უფრო მოქნილი იყო სქიზმით განყოფილთა შეწყნარების თაობაზე. ნათლისღება, რომელიც აღსრულებულ იყო მათზე, შეწყნარებული იყო და „აღივსებოდა“ ის წესი ღვთიური მადლით, რაც განყოფილთ აკლდათ განყოფის გამო ქრისტიანული სიყვარულისა და სიმდაბლით აზროვნების ნაკლებობის გამო. ამიტომაც სქიზმით განყოფილნი ახლად არ ინათლებიან, არამედ შეწყნარებულ არიან მართლმადიდებლობის წიაღში სინანულის იმ განაცხადის შედეგად, რომლითაც უარს ამბობენ სქიზმისათვის პასუხისმგებელ მთავრებზე. ზემოთ წარმოდგენილი კანონიკური დებულებები ფორმულირებულია საყოველთაო ეპისტოლეს ან ეკლესიის ოქმების სახით, როგორც მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში დღევანდელი მწვალებლებისა თუ სხვა აღმსარებლობისა ან სქიზმით განყოფილთა მიღების ძირითადი წესები, ესენია: 1) მონოფიზიტები, კოპტები და სომხები შეწყნარებულ იქნებიან მათი ბოროტმადიდებლობის (მწვალებლობის) წერილობით აღიარების შედეგად, მართლმადიდებლური სარწმუნოების აღიარებითა და წმიდა მირონცხებით. 2) რომაელი კათოლიკეები კანონით შეწყნარებულ არიან

მართლმადიდებლური სარწმუნოების აღმსარებლობისათვის ლიველონზე ხელმოწერით (რწმენის სიმბოლოს საჯარო განცხადებით) და წმიდა მირონცხებით. აქ საკმარისი არაა ლიველონი განყოფის მთავართა უარყოფისათვის, რადგანაც სქიზმის გარდა აქ აშკარაა მცდარი მოძღვრებები. 3) ანგლიკანებმა, რომლებიც მოდიან მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში, უმჯობესია „ახლად იღონ ნათელი“, რადგანაც საეჭვოა, აქვთ თუ არა მათ ეპისკოპოსებს სამოციქულო მემკვიდრეობა. ამ შემთხვევაში გვმართებს მოქმედება ანალოგიურად იმისა, რასაც აცხადებს კართაგენის 72-ე კანონი. ის კი განსაზღვრავს, რომ დაეჭვების შემთხვევაში, – ანუ, არის თუ არა ეს თუ ის ყრმა მონათლული, – უთუოდ საჭიროა მისი ნათლისღება. 4) პროტესტანტები მიიღებიან კანონიკური კათაკმევლური დამოძღვრებისა და ნათლისღებისა და მირონცხების შედეგად. ეს იმიტომ, რომ მათზე შეწყდა სამოციქულო მემკვიდრეობა – აუცილებელი წინაპირობა ყოველთა საიდუმლოებათა ძალმოსილებისთვის. გარდა ამისა, მრავალ პროტესტანტს არ სწამთ ერთარსება სამება. 5) ძველი სტილის მიმდევროებისათვის სქიზმით განყოფილთათვის, რომელთა მიმართ მაინც განცხადებულია სამოციქულო მემკვიდრეობა, საჭიროა აღესრულოს ზემოთ აღნიშნული, სქიზმით განყოფილთათვის დადგენილი პროცედურა.

## 2.7. ნათლობის საგანგებო შემთხვევები

1) ნათლობა სისხლით, ანუ მოწამეობით. ადრინდელი ქრისტიანობის ხანაში ზოგჯერ ხდებოდა ისე, რომ ამა თუ იმ კათაკმეველს შეიპყრობდნენ და მონათვლამდე მიჰყავდათ საწამებლად. ასევე ბევრი წარმართი, გაოცებული ქრისტიანთა გამბედაობით, მათი მოწამეობის დროს მოწოდებული ყოფილა სულიწმიდის მადლით და ისინი აღიარებდნენ ქრისტიანობას და ამას თავიანთ მდევნელებს უცხადებდნენ. მაშინ ისინიც მოწამებრივად აღესრულებოდნენ. ამ ორივე შემთხვევაში მოწამეს კანონიკურად არ მიუღია ნათელი, მაგრამ ისინი, მიუხედავად ამისა, შეირაცხებოდნენ მონათლულად თავიანთი სისხლით; 2) ჰაერით ნათლობა. იკონომიითა და საგანგებო შემთხვევებში, თუკი დიდია საშიშროება, რომ ჩვილი მოკვდეს, შეიძლება მოხდეს ე. წ. ჰაერით ნათლობა, ანუ ჩვილს სამჯერ აამაღლებენ ჰაერში ყოვლადწმიდა სამების სახელით. ჰაერით ნათლობის აღსრულება შეუძლია არა მხოლოდ ეპისკოპოსს და მღვდელს ან დიაკონს, არამედ, უბრალოდ, საერო პირსაც კი, კაცს თუ ქალს. ამ შემთხვევაში არ იქნება სულიერი ნათესაობა მომნათვლელსა და მონათლულს შორის. რადგან ის, ვინც ამაღლებს ჩვილს ჰაერში, არ მოქმედებს როგორც ნათლია, არამედ როგორც მღვდელი. და ამასთანავე, როცა ესა თუ ის მღვდელი ნათლავს კანონიერად საკუთარ ბავშვს, მასთან სულიერი ნათესაობა არ იქმნება.

თუ ჰაერით მონათლული ყრმა გადარჩება, მაშინ ნათლობა უნდა აღსრულდეს საეკლესიო განგების შესაბამისად. მღვდელი ან საერო პირი, რომელმაც უყურადღებობის გამო ვერ შეძლო შვილის მონათვლა, და იგი უნათლავი მოკვდა, იგი განკანონების სასჯელს (ეპიტიმიას) ექვემდებარება; 3) მწოლიარე ავადმყოფთა ნათლობა სხურებით. მძიმე ავადმყოფები, რომლებსაც სწამთ ღმერთი ჩვენი და უნდათ მონათვლა, შეუძლიათ, და იკონომიით ნებადართულიცაა, ნაცვლად წყალში შთაფვლისა, მათი სამგზის წყლით სხურება; 4) გარდა ნათლობის ზემომოყვანილ სახეობებისა, რომაულ-კათოლიკური ეკლესია აღიარებს ასევე ნათლისღებას ნება-სურვილისამებრ, ანუ, როგორც იგი ამას უწოდებს – Paptismus Flaminis. მაგრამ ამ მოსაზრების სისწორესთან დაკავშირებით მართლმადიდებელი მხარე გამოთქვამს ეჭვებს, ისევე როგორც გამოთქვამდა ეჭვებს დასავლეთის ეკლესია პირველი ხუთი საუკუნის განმავლობაში. მაგალითად, ეკლესიის მამებს არ მოსწონდათ ჩვეულება, რომლის მიხედვითაც, ბევრნი გადადებდნენ ხოლმე ნათლისღებას სიკვდილამდე და სჯერდებოდნენ სურვილისამებრ ნათლისღებას, ანუ, მათ განცხადებული ჰქონდათ, რომ ნებავთ ნათლისღება. ცხადია, სხვაა, როცა კათაკმეველი აცხადებს ნება-სურვილს ან გადაწყვეტილებას, მონათლოს, და უეცრად კვდება, მაგ., უბედური შემთხვევის შედეგად. ნიკოდიმოს მთაწმიდელიც „პიდალიონში“

აღნიშნავს, რომ „ისინი მთლიანად მოკლებულნი არ არიან ცხოვრების სასოებას, თუკი უეცრად მოუნათლავნი აღესრულენ“.

## 2.8. სახელდება

კათაკმევლობისა და ნათლისღების აღსრულებით ჩვეულებრივ ნათელღებულს ეძლევა მცირე ანდა ძირითადი სახელი. როცა ნათლობა აღსრულდება ასაკოვანზე, ამას, ჩვეულებრივ მოჰყვება შეცვლაც სახელისა, რომელიც ნათლისღებამდე ჰქონდა მიღებული. სახელის შეცვლა არის სიმბოლო ცხოვრების შეცვლისა, რაც ნათლისღებით ხდება ხოლმე. აქ, რა თქმა უნდა, უნდა დავაზუსტოთ, რომ სახელდება და სახელის დარქმევა ურყევად არ არის ნათლობასთან დაკავშირებული. ანუ არც კანონიკური წესები ირღვევა და არც ეკლესიის, ამა თუ იმ პირს ნათლისღებამდელი სახელი თუ დაერქმევა, ეს დასტურდება საეკლესიო პრაქტიკიდან, რომლის მიხედვით ადრექრისტიანული ხანიდან, სახელები ენიჭებოდათ ნათლობამდე მერვე დღეს ბავშვის შობიდან (შდრ. იესო ქრისტეს შემთხვევა, ლუკა 2:21): „და ვითარცა აღესრულნეს დღენი იგი რვანი წინადაცუეთისა მისისანი, და უწოდეს სახელი მისი იესუ, რომელ-იგი ეწოდა ანგელოზისა მისგან, ვიდრე ყოფადმდე მისა მუცელსა დედისა თჳსისასა“.

მორწმუნე, რომელიც შემოვიდა მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში, იგი მიკუთვნებული იქნება ქრისტეს სხეულს, ანუ გახდება ეკლესიის ორგანული, კანონიკური და სრულუფლებიანი წევრი, რაც ანიჭებს მას გარკვეულ უფლებებს: „ხოლო თქუენ, ნათესავი რჩეული, სამეუფოჲ სამღდელოჲ, თესლი წმიდაჲ, ერი მოგებული, რაჲთა სათ-ნოებითა მიუთხრობდეთ, რომელმან-იგი ბნელისაგან გი-წოდნა თქუენ საკჳრველსა მას ნათელსა მისსა“ (I პეტრე 2:9).

I უფლებები: 1) მონაწილეობა (როგორც საერო პირი, ან მონაზონი, ან სასულიერო პირი) ეკლესიის ყველა საიდუმ-ლოებასა და განმწმენდელ ქმედებებში. 2) მონაწილეობა ეკლესიის ადმინისტრაციულ თუ ჰუმანურ საქმიანობაში; 3) უფრო ზოგადად – მონაწილეობა უფლის სამღვდელმთავ-რო, წინასწარმეტყველური და სამეუფო საქმის აღსრულე-ბაში.

II უფლება მოვალეობები: 1) მორჩილება ქრისტეს მცნებებისადმი და შეგონებებისადმი ან ეკლესიის მწყემსთა რჩევებისადმი; 2) ქრისტეს სარწმუნოების აღსარება და მისი გარდამოცემა, მოყვასისადმი სიმდაბლითა და სიყვარ-ულით; 3) მონაწილეობა ლიტურგიკულ მოქმედებაში, სხვა თავყრილობებსა და მსვლელობებში: ა) ეკლესიისა საერ-

თოდ და ბ) სამრევლოსი კონკრეტულად. და სხვა მრავალი.

III შედეგი: 1) მიტევება წინაპართა ცოდვისა, რომელიც მემკვიდრეობით გადადის ყოველ ადამიანზე; 2) უშუალოდ პიროვნების მიერ ჩადენილი ცოდვების მიტევება; 3) შემწეობის მინიჭება და გაძლიერება; 4) ეკლესიის ახალი წევრების სახელთა ჩაწერა უფლის სასუფევლის ნუსხებში (შდრ. ლუკა 10:20).

## 2.10. ნათლობიდან გასვლა

ეკლესიის დატოვება, ჩვეულებრივ ხდება მკაფიო გამოცხადებით კომპეტენტური საეკლესიო ორგანოს მიმართ ან დაინტერესებული პირის სხვა დოგმასა თუ რელიგიაში ინტეგრირებით. ადამიანი შეიძლება ასევე განიკვეთოს ეკლესიიდან, ანუ ანათემას გადაეცეს. თუმცა ეკლესიაში დაბრუნება ყოველთვის შეიძლება, ხელახალი ნათლობის შესრულების გარეშე, გარკვეული კანონიკური პროცედურის დაცვით.

# დასკვნა

ნათლობა არის საიდუმლოთა შორის პირველი, ჩვენი საზოგადოება, ხშირ შემთხვევაში, ტრადიციიდან გამომდინარე ინათლება, ან ჩვილობაშივე, რის გამოც ნათლობის ზუსტი და სწორი წარმოდგენა ნაკლებად აქვს საზოგადოებას. იმისთვის, რომ ვიცოდეთ, რას გვაძლევს ნათლობა და რა უფლება-მოვალეობებს ვიძენთ, საჭიროა, უკეთ გავერკვეთ ჩვენი რელიგიის საწყისებში. ეს სასარგებლო იქნება როგორც მონათლულისთვის, ისევე იმ მოუნათლავისთვის, ვინც ფიქრობს ქრისტეს ეკლესიაში შესვლაზე. ასევე სასარგებლო იქნება მათთვისაც, ვისაც დიდად არ სწამს, რადგან ერთია, რომ ცოდნა არასდროს არაფერში გვაწყენს და მეორეა, რომ ეს ცოდნა ჩვენი კულტურისა და იდენტობის ქვაკუთხედს ეხება.

უფალი იყოს ჩვენი ერისა და ქვეყნის მფარველი.

# ბიბლიოგრაფია

Cyrill. Alex, in Joann. XX, 17; Augustin. de peccat. merit. et remiss. 1, 20. 26.
854

Λοὐτρον – Justin. Apolog. 1, 63; Clem. Alex. Paedag. 1, 6; Chrysost. de incompreh. hom. IV, n. 5. Lavacrum – Tertull. de bapt. c. 5. 7. 16.
855

Fons sacer – Augustin. de civit. Dei XIII, 7.
856

Barnab. Epist. n. II; Clem. Alex. Paedag. 1, 6; Ciptian. Epist. L. XIII.
857

Φως φωτισμός, φώτισμα. Justin. Apolog. 1, n. 61; Clem. Alex. Paedag. 1, 6; Greg. Nyss, Catech. XXXII; Theodoret. de div. decret. V, 18.
858

Χάρισμα. Clem. Alex. Paedag. 1, 6.
859

Αναγέννησις – Justin. Apol. 1, n. 61; Παλιγγενεσία – Greg. Nyss. Catech. XXXII; Secunda nativitas – Tertull. Exhort. cast. c. 1.
860

Greg. Nyss. Catech. XXV. XL; Theodoret. in Cantic. 1.
861

Σφραγις εν Χριστω – Eppiphan, de mens, et pond. n, 15.
862

Ephrem. de Charit, et eleem. in T. II, p. 254, ed. Graec.
863

Eulog. Alex, advers. Novat. III.
864

Λοὐτρον μυστικόν – Greg. Nyss. in laud. S. Basilii, T. III, p. 483, ed. Morel.
865